

Miranda Tkeshelashvili

მირანდა ტყეშელაშვილი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

Georgian Emigrant Literary Criticism of the 1930s about the Literary Process Taking Place in Soviet Georgia

1930-იანი წლების ქართული ემიგრანტული სალიტერატურო კრიტიკა საბჭოთა საქართველოში მიმდინარე სალიტერატურო პროცესის შესახებ

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10929>

The Georgian emigrant literature of the 20th century is part of the national heritage; along with the literary texts created in exile, the emigrant Georgian literary criticism is equally, and perhaps even more important. The emigrant critics campaigned especially harshly against proletarian literature, exposing the goal of the Bolshevik state to turn literature into a party, propaganda tool, the best class weapon.

The article, using the example of publications by several Georgian periodicals published in Paris, presents the attitude of emigrant critics towards specific authors and works.

Key words: Georgian Soviet writing, literary criticism, émigré press

საკვანძო სიტყვები: ქართული საბჭოთა მწერლობა, ლიტერატურული კრიტიკა, ემიგრანტული პრესა

მე-20 საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობა ეროვნული მემკვიდრეობის ნაწილია. ემიგრაციაში შექმნილ მხატვრულ ტექსტებთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანია მეოცე საუკუნის ემიგრანტული სალიტერატურო კრიტიკა. ემიგრანტი კრიტიკოსები გამორჩეულ ინტერესს იჩენდნენ საქართველოში მიმდინარე ლიტერატურული ცხოვრების მიმართ, განსაკუთრებით მკაცრად ილაშქრებდნენ პროლეტმწერლობის წინააღმდეგ, აამკარავებდნენ ბოლშევიკური სახელმწიფოს მიზანს, – ექცია ლიტერატურა პარტიულ, საპროპაგანდო საშუალებად, კლასობრივი ბრძოლის იარაღად.

ემიგრანტი კრიტიკოსები, ერთი მხრივ, დაუნდობლად ამხელდნენ საბჭოთა მწერლობას, სოციალისტური რეალიზმის პრინციპებს, მეორე მხრივ, მხედველობიდან არც ქართულ საბჭოთა მწერლობაში გამოქვეყნებული მაღალმხატვრული ნიმუშები რჩებოდათ. თუმცა, ობიექტურობისთვის, ისიც აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ, არცთუ იშვიათად, ემიგრაციიდან რთულად დასანახი და აღსაქმელი იყო, თუ რა წნეხის ქვეშ უწევდათ ლიტერატურული ტექსტების შექმნა საქართველოში მყოფ მწერლებს. მათ მიმართ ემიგრანტ კრიტიკოსთა დამოკიდებულება ობიექტური რეალობის გაუთვალისწინებლად ხდებოდა, ისინი მეტისმეტად მკაცრად ითხოვდნენ ეროვნული პრინციპების დაცვას, რაც საბჭოთა იდეოლოგიური კონიუნქტურისა და სოცრეალიზმის ყალბი პრინციპების უმკაცრესი დიქტატის პირობებში შეუძლებელი იყო.

მოხსენებაში, პარიზში გამომავალი რამდენიმე ქართული პერიოდული ორგანოს პუბლიკაციების მაგალითზე, წარმოჩენილია ზემოთმოტანილი დამოკიდებულება კონკრეტული ავტორებისა და ნაწარმოებების მიმართ.

1928 წელს, გაზეთ „დამოუკიდებელ საქართველოში“ გამოქვეყნებულ წერილში „ფიქრები თანამედროვე ქართულ მხატვრულ მწერლობაზე“ კრიტიკოსი გიორგი ნაკაშიძე ქართული ლიტერატურის რენესანსად მოიხსენიებს მეოცე საუკუნის დასაწყისის მწერლობას, მაღალ შეფასებას აძლევს როგორც პოეზიას, ისე პროზას და წუხს, რომ „საქართველოს ლიტერატურის რენესანსის გაბედული სვლა შეჩერდა, ვერ მოინახა ძალა მისი ღირსეული გაგრძელებისათვის“. მისი აზრით, თანამედროვე ქართულმა ლიტერატურამ გადაუხვია ნაცად გზას, მის ბრწყინვალე ტრადიციას, რითაც მახვილი ჩასცა ქართველ ერს. ესთეტიკა დაშორდა ეთიკას, ფორმა – შინაარსს, ლექსი და მხატვრული პროზა ცხოვრებას. ქართულმა სიტყვამ, გუშინ რომ საქართველოს უმღერდა, მის დამპყრობელს დაუწყო გუნდრუკის კმევა. პოეტები ერთმანეთს ეცილებიან ოქტომბრის, ლენინის, თებერვლის ხობაში. კრიტიკოსი ითხოვს, რომ „ქართველი მწერალი ერის შვილი იყოს, კვლავ ააფრიალოს თავისუფალი ხელოვნების დროშა“. უნდა აღვნიშნოთ, რომ გ. ნაკაშიძეს ჩვენ მიერ ზემოთხსენებული ობიექტური რეალობაც კარგად ესმის: „ადვილი სათქმელია, – იტყვის ბევრი. ჩაიყენეთ თავი ასეთ პირობებში, როგორშიც ჩვენ ვართ და მერე ილაპარაკეთ!“ თუმცა ეს არგუმენტი მისთვის გამართლება არაა. საპასუხოდ, კრიტიკოსი საქართველოს სამსხვერპლოზე ასულ გმირებს იხსენებს („დამოუკიდებელი საქართველო“, 1928, №33).

ჟურნალ „კავკასიონის“ 1929 წლის 1-2 ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „ქართული ლიტერატურა“, ავტორი, ისიდორე მანწკავა, საბჭოთა ხელოვნებას ხელოსნობას უწოდებს, რომელიც, მისი აზრით, სხვა არაფერია თუ არა, ბოლშევიზმის, როგორც გაბატონებული წოდების, ქება-დიდება... „მართალია ხელისუფლებას ძვირად უჯდება ეს საპროპაგანდო დომხალი, – წერს მანწკავა, – მაგრამ ხარჯს არ ერიდება, თავს არ იზოგავს, ბატონობა გაიხანგრძლივოს. მეორე მხრივ, კრიტიკოსის ქებას იმსახურებს საბჭოთა სალიტერატურო პრესაში გამოქვეყნებული შალვა დადიანის „უბედური რუსი“, დემნა შენგელაიას „სანავარდო“, გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“, „ლონდა“, „ლამარა“, კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი“ და სხვ. („კავკასიონი“, 1929, №1,2)

გაზეთ „ბრძოლის ხმაში“ ლეისპირელის ფსევდონიმით პერიოდულად იბეჭდებოდა სტატიების ციკლი სათაურით „წერილები ლიტერატურაზე. სამხატვრო პოლიტიკა“. სათაურიდანაც ნათელია, რომ ავტორს აინტერესებდა ის სალიტერატურო პოლიტიკა, რომლის დაკანონებასაც საქართველოში არსებული საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა. კრიტიკოსი გმობდა 1905 წელს ლენინის მიერ გამოთქმულ აზრს, რომ „სოციალისტურმა პროლეტარიატმა უნდა წამოაყენოს ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი, განავითაროს ის და გაატაროს ცხოვრებაში“, არ აღიარებს ბოლშევიკურ თეორიას იმის თაობაზე, რომ „კვდება თუ არა კლასი, მას თან მიჰყვება თავისი ლიტერატურა და ის წყვეტს თავის გავლენას საზოგადოებრივ ცხოვრებაზე“. თავისი შეხედულების დასასაბუთებლად მაგალითებიც მოჰყავდა: ძველი საბერძნეთი - ღმერთების და მონების, დღეს აღარ არსებობს, მაგრამ ჰომეროსის, თუნდაც დანტეს სიმები, ადამიანთა გულებს კვლავაც ხვდება. ევროპის ახალი ლიტერატურიდან ასახელებს ზოლას, მოპასანს, ფლობერს, ჰიუგოს, ქართველებიდან აკაკისა და ილიას, „რომელთა ლიტერატურული მემკვიდრეობის სიძლიერე, მხატვრული დინამიკა, რეალისტური სურათების გადასვლითა თუ ლირიკული და იუმორისტული სიმახვილით გადმოცემით, იმენად დიდი და უკვდავია, მათ გავლენას ვერავინ უარყოფს ახალი თაობის ლიტერატურულ შემოქმედებაზე“ („ბრძოლის ხმა“ 1937, №68).

კრიტიკოსის აზრით, თავისუფალ ქვეყანაში ლიტერატურული ხელოვნება სულაც არ მოითხოვს მწერლისგან გარკვეული დოგმების მორჩილებას, საზოგადოების თითოეული ფენა თვითონ წარმოშობს და განავითარებს იდეოლოგიურ-ლიტერატურულ მიმართებას. საბჭოთა ქვეყანაში კი მწერლობა სახელმწიფოს კუთვნილებადაა გამოცხადებული, ლენინის ანდერძის თანახმად, ძალაუფლების მქონეთა ხელში ის არის იარაღი ადამიანის სულიერ-ფსიქიკური დაუფლებისა და დამორჩილებისათვის. წინასწარაა განსაზღვრული ე.წ. „სამხატვრო პოლიტიკა“, თემატიკის საკი-

თხი. სახალხო მეურნეობის აღმშენებლობის ყოველ წამოწყებას თან უნდა ახლდეს ლირიკოსთა ან ბელეტრისტთა მიერ შესხმული ხოტბა.

მიმდინარე ქართული სალიტერატურო ვითარების გადმოსაცემად ლეისპირელი საჭიროდ მიიჩნევდა ლიტერატურულ ნაწარმოებთა გარკვეული ნიმუშების განხილვას. ახასიათებდა მათ ავტორებს და შენიშნავდა, რომ „კონსტანტინე გამსახურდიას, დემნა შენგელაიას, ნიკო ლორთქიფანიძის, გიორგი ლეონიძე, ალექსანდრე აბაშელის და სხვა, იმ დროს სალიტერატურო ასპარეზზე მოღვაწე მწერალთა შემოქმედების მხტავრული ღირსება სადავო არ იყო, თუმცა, მით უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ მათ ქართველი ერის წინაშე. „ათჯერ რომ სტალინს და მის ნამოქმედარს შეაქებენ, ერთხელ საქართველოს და მის გაპარტახებულ მიწა-წყალს მოწყალეების თვალთ გადახედვან და ცდილობენ მისი კვნესა-გოდების ამოკითხვას... ჯავახიშვილმა რომ ოქტომბრის რევოლუცია საქართველოს კულტურულ-პოლიტიკურ განმათავისუფლებლად აღიარა, განა არ იცის, რომ მისი „დამპატიჟეს“ შემქმნელი თავად სტალინი და მოსკოვია, რომელმაც ქართველ გლეხობას უსაქმური დამპატიჟე თავზე წამოაჯინა? ან ქიაჩელმა ვერ გაიგო, რომ კიბულანები („ალმასხან კიბულან“) ბერიასა და კობას მსხვერპლია?... შ. დადიანს, რომელსაც სურს, ჩვენი კლასიკური ნაწარმოებების ყველა მოვლენა უსათუოდ ლენინისტური მიდგომით ახსნას, ვერ გაუგია, რომ სანამ მისი სამშობლო დაპყრობილია, მის „კაკალ გულში“ გამოყვანილი ტიპები მუდამ იბატონებენ? ს. შანშიაშვილს ამ ბოლო დროს მონოპოლიად აუღია „კომუნისტის“ ფურცლებზე სტალინისა და მისი დამქმნების ქება-დიდება. ერთ ლექსში ფანდურზე ამღერებს ფშაველ კაცს: „...ეხლა რომ გესაუბრები, უცნაურ გამკრა ელვამა, წინ დამეხატა ლენინი, იმის სახელის ღებნამა, დღეს რომ ქართული გაისმის, ეს მისი ნაამაგია! ქედს ვუხრი ლენინს მადლობით, იმის ფოლადის გვარდიას“. ის, რომ ლენინს უნდა ვუმაღლოდეთ ქართულ ენაზე ლაპარაკს, მხოლოდ შანშიაშვილის ავადმყოფი ტვინის ნაყოფი შეიძლება იყოსო, აღშფოთებულია ემიგრანტი კრიტიკოსი. ის მკითხველს ახსენებს ვაჟა-ფშაველას ძმის, თედო რაზიკაშვილის მხეცურად მოკვლას ბოლშევიკების მიერ... გ.ლეონიძის მიერ პოემა „სტალინის“ დაწერას პოეტის სრულ გაკოტრებად მიიჩნევს და ასკვნის, რომ მთელი ეს ნიჭიერი თაობა ნელ-ნელა ეშვება მოსკოვის წუმპეში, კარგავს საკუთარ დამოუკიდებელ შემოქმედებას, დგება დამპყრობელთა სამსახურში. ლეისპირელს მათ გამართლებად არ მიაჩნია არგუმენტი, რომ ამით ისინი ეროვნული კულტურის გადარჩენას ცდილობენ და მკაცრად აცხადებს, რომ ყველა დაპყრობილი ერი უნდა იბრძოდეს ეროვნული ლიტერატურული სახის შესანარჩუნებლად. მისი თქმით, საქართველოში ამის მაგალითი დამპყრობელთა წინააღმდეგ მამართული ხალხური პოეზიაა. მიუღებელია ძალადობისთვის კისრის დადება, მისთვის კალმის დამორჩილებათ, – ასკვნის კრიტიკოსი („ბრძოლის ხმა“ 1937, №70).

ამავე სტატიაში ლეისპირელი მკაცრად აკრიტიკებს მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობას ფინჯანი“, რომელიც, მისი აზრით, მწერალს „ხაზინების“ სიამოვნებისათვის დაუწერია“. თემა აღებულია ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ცხოვრებიდან, თუ როგორ მოილტვის საქართველოსკენ ემიგრანტების გული; საზღვარგარეთიდან დაბრუნებული მოთხრობის გმირები ერთგულად ემსახურებიან ახალ ხელისუფლებას, ეწევიან აღმშენებლობით მუშაობას, უპროფესიო სარდიონი კი პირიქით, ვერ ურიგდება საბჭოთა ცხოვრებას და გარბის საზღვარგარეთ. ემიგრაციიდან დაბრუნებული შუბაძე ოცნებობს: „ყოველი მხრიდან მილიარდები წამოვა ათიოდე წელში ჩვენ ვერ ვიცნობთ ჩვენს ქვეყანას, ბადესავით დავსერავთ ქარხნებით, გზებით, არხებით. ხალხი ჭუჭყს მოიცლის, უმეცრებას ჩამოირეცხავს, გასუქდება, ამერიკას გაუსწრებს“. სხვა ადგილას კი ამბობს: „არა, არ მჯერა, რომ ისინი, ვინც პარიზში დავტოვე, მუდამ ომს ნატრულობდნენ, რადგან გამარჯვებული ომია მათი მხსნელი, მაგრამ ესენი?..“ ესენი ომს ჭირსავით ერიდებიან“. ჯავახიშვილი მთელ ემიგრაციას ომის სურვილებს მიაწერსო, ბრაზობს კრიტიკოსი და აღნიშნავს, – „პოლიტიკაში ეს ახალი ამბავი არაა, წითელი იმპერიალიზმის სულის ჩამდგმელნი რომ ემიგრაციას ცილს სწამებენ. ამ უკანასკნელს, ცხადია, ეს არც აკვირვებს და არც აშინებს. შეჰყურებს ერის ბრძოლას, მის გათავისუფლებას... ყველა ადამიანის ლტოლვა სამშობლო მხარისკენ ბუნებრივი მოვლენაა, პირადი მოტივებით ბოლშევიკურ ჯოჯოხეთში ნებაყოფლობით თავის შერგვა სულმდაბალთა საქმეა. რად-

გან ვიცით, ქართველი ხალხი ადგილობრივად ზიზღით უყურებს დამპყრობელთა ზრახვებს და იბრძვის ყველა საშუალებით დამოუკიდებლობის დასაბრუნებლად“.

„ჯავახიშვილს ვინ დაატანა ძალა, ემიგრაციის ერის წინაშე დაბეზლება მხატვრულ თემათ გაეხადა?“... სვამს კითხვას ლეისპირელი და თავადვე პასუხობს: „ასეთი ცალმხრივი მიდგომისა და ცილისწამებისათვის ბოლშევიკებმა მწერალს ბევრი რამ აპატიეს და ბევრი ქება შეასხეს“ („ბრძოლის ხმა“, 1937, №70).

ასე დაუნდობელია ემიგრანტი ავტორის კრიტიკა. თუმცა, ისტორიამ გვაჩვენა, რომ ბოლშევიკებს ჯავახიშვილისთვის არაფერი უპატიებიათ, არც მისი ანტისაბჭოთა განწყობები დარჩენიანთ ყურადღების მიღმა. ამ სტატიის გამოქვეყნებიდან სულ რაღაც ორ წელიწადში მწერალი სასტიკ რეპრესიებს შეეწირა.

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების შეფასებას ეძღვნება მიხეილ წულუკიძის **„ესკიზები თანამედროვე ქართული ლიტერატურიდან – გალაკტიონ ტაბიძე“**. სტატიის ავტორი ვრცლად მსჯელობს იმის შესახებ, რომ ქართული მხატვრული მწერლობა სიცოცხლის, სიხარულის, სიყვარულის, ბრძოლის და გამარჯვების ხოტბაა, თუმცა, გალაკტიონის პოეზია განსხვავებულია. „ცალკეა, მარტო, თავისი ტანჯვებით, განცდებითა და ვნებებით“. გალაკტიონ ტაბიძე მეოცე საუკუნის დასაწყისის ურწმუნო ხანის ურწმუნო შვილია, ამ ხანამ წარუშლელი კვალი დაამჩნია მის ფსიქიკას, მის შემოქმედებას. კრიტიკოსის აზრით, შეიძლება ბევრი არ დაეთანხმოს გალაკტიონ ტაბიძეს იდეურად, მაგრამ ყველას, ვისაც კი რაიმე ესმის ხელოვნებისა, აუცილებლად შეუყვარდება მისი პოეზია, მისი განცდები და ტანჯვა, რადგან ნებისმიერ ადამიანს, რაღაც მომენტებში მაინც, განუცდიდა ის, რასაც პოეტი განიცდის როგორც ერთ მთლიან, უწყვეტ პროცესს. კრიტიკოსი შედეგრებად მიიჩნევს გალაკტიონის ლექსებს: „ლურჯა ცხენები“, „ატმის ყვავილები“, „მერი“, „მთაწმინდის მთვარე“. თუმცა, სტატიის დასასრულს, შენიშნავს, რომ პოეტის უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებულ ლექსებს „ახალი გზის“ ძიების კვალი ემჩნევა და შიშობს, „ახლის“ ძიებაში თავისი ძველი, ნაცადი „მე“ არ დაახურდავოს, თავისუფალი აღმაფრენა ბრჭყალებში არ ჩაუგდოს ნაძალადეგ ტენდენციას“ („კავკასიონი“, 1929, №1-2).

კრიტიკა დაიშინებულა კონსტანტინე გამსახურდიამ, „დიდოსტატის მარჯვენას“ ცალკეული ეპიზოდის გამო. 1939 წ. დაწერილი ეს რომანი საბჭოთა რეჟიმის მიმართ „დათმობად“ ჩათვალა იმ დროს უკვე ემიგრაციაში მყოფმა გრიგოლ რობაქიძემ. მან დაიწუნა და გაუგონარ მკრეხელობად მიიჩნია გიორგი მეფის მიერ ძელიცხოვლის ხატის მოწამვლის ამბავი. მისი აზრით, რომანში „გაბითურებულია“ როგორც მეფე გიორგი („რაა ის მეფე, რომელიც მოწინააღმდეგის მოსაცილებლად ასეთ საშინელებას მიმართავს?“), ისე ხატი („რაა ის სათაყვანო ხატი, რომელსაც ასე ექცევინა და ასე იყენებენ“). ბოლშევიკები, რასაკვირველია, გაიხარებენ, როცა რომანის ამ ადგილს წაიკითხავენ, ყოველ ქართველს ეს სცენა ისარივით მოხვდება და მოხვდება გულშიო, წერდა გრიგოლ რობაქიძე (რობაქიძე:1996, 56).

თუკი ასეთი იყო ემიგრანტი კრიტიკოსების დამოკიდებულება იმ ქართველი მწერლების მიმართ, რომელთა შემოქმედების ნიჭს სადავოდ არ ხდიდნენ და მხოლოდ ხელისუფლების მიმართ გამოჩენილი ლოილობის გამო კიცხავდნენ, მით უფრო გასაკვირი არ უნდა იყოს მწერალთა ახალი თაობის ე.წ. პროლეტმწერლების მათეული შეფასება.

ზემოთ დასახელებული ციკლის კიდევ ერთ წერილში ლეისპირელი გამოწვლილვით განიხილავს პროლეტმწერლობის წარმომადგენელთა შემოქმედებას და მათ მიმართ მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულებას ავლენს. ის აკრიტიკებს პოეტებს: ალიო მაშაშვილს, იონა ვაკელს, სანდრო ეულს, ფრიდონ ნაროუშვილს, ბელეტრისტ პ. ჩხიკვაძეს, „კომსომოლა“ პოეტებს: ბობოხიძეს, კაჭახიძეს, ზარიძეს, ბუხნიკაშვილს და აღნიშნავს, რომ „ეს ის ხალხია, ბარათაშვილს და ილია-აკაკის რომ ედავება, იწუნებს და პოეზიის მოსარჩლედ მოაქვს თავი“. კრიტიკოსი იქვე გამოთქვამს რწმენას, რომ „აღიგვება თუ არა ჩვენი მიწა-წყლიდან ჩრდილოეთიდან შემოტანილი სენი, მას თან გაჰყვება „პროლეტარული მწერლობის“ შემოქმედებითი პროდუქცია. მეარქივე ისტორიკოსს ის შეიძლება გამოადგეს მხოლოდ მასალად ბოლშევიკური ფსიქოლოგიის შესასწავლად და მის

შესაფასებლად. მაგრამ ქართულ სულიერ საგანძურში ერთ კუნჭულსაც ვერ დაისაკუთრებს“ („ბრძოლის ხმა“ 1937, №71).

ჩვენი მხრივ, შევნიშნავთ, რომ ისტორიის და ქართული ლიტერატურის განვითარებამ გვიჩვენა, რომ ეს გაცილებით ადრე მოხდა, ვიდრე დამპყრობელი ჩვენი მიწა-წყლიდან აღიგვებოდა. „პროლეტმწერლებმა“ მკითხველი უკვე საბჭოთა საქართველოში, გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან დაკარგეს.

საბჭოთა საქართველოში მოღვაწე ქართველი მწერლებისა და მათი ნაწარმოებების მიმართ ემიგრანტი კრიტიკოსების უშეღავათო დამოკიდებულების თვალსაჩინო მაგალითია მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებისადმი“ გამოჩენილი ინტერესი. ამ ნაწარმოებს ემიგრანტულმა პრესამ არაერთი პუბლიკაცია მიუძღვნა. 1924 წლის შემოდგომაზე დაწერილი „ჯაყოს ხიზნების“ პირველი კრიტიკული ანალიზი, რომელიც ემიგრაციაში დაიბეჭდა, იყო გაზეთ „დამოუკიდებელი საქართველოს“ 1926 წლის №10-ში გამოქვეყნებული, ცნობილი პოეტის, შალვა ამირეჯიბის „კრიტიკული განხილვა „ჯაყოს ხიზნებისა“.

შალვა ამირეჯიბი მიიჩნევს, რომ „ჯაყოს ხიზნები“ დაწერილია ცუდ დროს და ცუდი დროისთვის, თუმცა კი, ის, რასაც ბოლშევიზმი ჰქვია, მასში თამამად არის აღწერილი. ჯავახიშვილი უსათუოდ ნიჭიერია. მაგრამ რომანში სრულიად არა ჩანს ბოლშევიზმის მეტოქე ცხოვრება, რომელიც ასე მედგრად ებრძვის მას და ეს ნაკლი რომანს სიმართლეს უკარგავს. ნუთუ, ჯაყო ისეთი გამარჯვებულია, რომ დასთვრუნა ცხოვრების სხვა საწყისი? – კითხულობს ამირეჯიბი და საკუთარ შეკითხვას თავადვე პასუხობს უარყოფითად: „ეს რომ ასე იყოს, ჯაყო ცოტა უკეთესი იქნებოდა, მაგრამ მისი ჯაყო უმზგავსია და ეს იცის თვით ავტორმაც. და არათუ იცის, მისი ნამდვილი მიზანი სწორედ ის იყო, რომ ცხოვრება მთლიანად აეღო ხელში და ჩვენთვის ეს მეტოქეობა და ბრძოლა ეჩვენებინა. მაგრამ ავტორს ცხოვრება ძირს დაუვარდა და ხელში მარტო ჯაყო შერჩა“...

კრიტიკოსი სვამს კითხვას: „რა დაემართება ოჯახს ბოლშევიკურ წეს-წყობილებაში, თუ ქმარი „პრინციპის“ კაცია, არ ურიგდება ახალ წესებს, ლაპარაკობს ბევრს და აკეთებს ცოტას? ავტორი ამბობს, რომ ჯაყო ცოლს თვითონ წაიყვანს და ქმარს კოოპერატივში ჩააყენებს... რა საზოგადოებაა ის საზოგადოება, სადაც ოჯახს ისე არ ეცხოვრება, თუ ცოლი ჯაყოს არ მისთხოვდა და ქმარი ამ ქორწილს არ დაესწრო?“

ამირეჯიბის აზრით, „ჯაყოს ხიზნებში“ მეტისმეტად ბევრია მდაბიურობა და სულ ცოტა, ის, რის გარეშეც ნაწერს მხატვრული ნაწარმოები ვერ დაერქმევა. იგი მშრალია, მოკლებული სიმპათიას და, თუ შეიძლება ასე ითქვას, – უღვთოა! მწერალი აგვიწერს ქართულ ყოფას ბოლშევიკურ ჩარჩოში. მისი გმირია მარგო, მისი გმირია თეიმურაზი, მისი გმირია, დასასრულ, ეს ყოვლად აუტანელი ჯაყო, რომელსაც ღვთისნიერი ადამიანი არ გაუჩნდა, რომ კისერში ჰკრას და კარში გააგდოს. პირიქით, მარგოს სახით, ავტორმა ორიანთასწლოვანი ქართული კულტურა ჯაყოს მიუგდო. კრიტიკოსი არ ეთანხმება გავრცელებულ აზრს, რომ მარგო საქართველოს გამომხატველი მეტაფორაა, რომ ასეთ ყოფაშია სწორედ საქართველო. მისი თქმით, საქართველო იბრძვის! მარგო კი „ტურტლიანი ადამიანის ნადავლია“.

ამირეჯიბი აკრიტიკებს თეიმურაზის პერსონაჟს: „თეიმურაზი უმზგავსობაა, რომელსაც ვერავის დაამზგავსებ... დგას იგი ჩვენს თვალწინ ვით სახედარი და მოწიწებით ატარებს იმ სიბინძურის ტვირთს, რომელიც ავტორმა აჰკიდა. საკმაოა ეს ტვირთი ვინმემ გადმოუგდოს და თეიმურაზი რიგიანი ადამიანი დადგება. ავტორი ამის ნებას არავის აძლევს.“

ბუნებრივია, შალვა ამირეჯიბისთვის მიუღებელი მხატვრული ტიპია ჯაყოს პერსონაჟი, რომელსაც ბოლშევიზმის ნაყოფად და მწერლის შემოქმედებით მარცხად თვლის.

„ჯაყო ბოლშევიკია, – წერს კრიტიკოსი, – იმდენად, რამდენადაც ბოლშევიზმი მდგომარეობს იმაში, რომ უვარგისებმა აჯობონ უკეთესებს და მართონ ისინი. ავტორმა ყველაფერი ჩაიდინა განზრახ, რომ თეიმურაზი დაემდაბლებინა, რაშიც შედეგს მიაღწია. მაგრამ თეიმურაზი ავტორის უნებურად ჯაყოზედ მაღალი დარჩა როგორც ადამიანი.“

კრიტიკოსის დაბეჯითებული მტკიცებით, რომანს არავითარი კავშირი არა აქვს ქართულ ცხოვრებასთან. „როგორ უნდა შევადაროთ დღევანდელი ქართული ცხოვრება, მისი თავდადებუ-

ლი ბრძოლით უკეთესი მერმისისთვის, ნამდვილი ტრაგედიით და ნამდვილი გმირებით, რომლებიც ისე ილუპებებიან, რომ წყლიდან ისინი აღარვის ამოჰყავს, ამ მოსაწყენ რომანს, სადაც გმირები აღბეჭდილნი არიან არა ნაკლით, როგორც ეს სჩვევიათ ადამიანებს, არამედ სიბინძურით, სიმდაბლით და უსიტყვობით. ქართული ცხოვრება მოთხრობის გარეშე დარჩა. იქ შევიდნენ სხვები, იქნებ ესენიც ქართველები, მაგრამ მოკლებულნი ღვთიურ სახეს და ადამიანურ სულისკვეთებას და არა დღევანდელნი, არა ახალგაზრდა, მეზრდოლი საქართველო. არც ამ საქართველოსთვის არის დაწერილი ეს წიგნი. ის დასწერა კარგმა ავტორმა, მაგრამ ცუდი საქართველოსთვის“ („დამოუკიდებელი საქართველო“, 1926, №10).

როგორც ვხედავთ, შალვა ამირეჯიბი „ჯაყოს ხიზნების“ მკაცრი კრიტიკოსია, არ იღებს რომანში გადმოცემულ ამბავს ქართულ რეალობად, თუმცა, აღიარებს მწერლის ნიჭს და ბოლშევიკური ხელისუფლების მხრიდან მოსალოდნელი რეპრესიების შიშის გამო დათმობად უთვლის მას აღნიშნულ ნაწარმოებს.

განსაკუთრებით საინტერესოა ვრცელი და ხანგრძლივი კამათი „ჯაყოს ხიზნების“ შესახებ ჟურნალ „კაკავკასიონის“ ფურცლებზე. განხილვა 1929 წელს, ჟურნალის მეორე ნომერში ვლადიმერ ბაქრაძემ წამოიწყო, სტატიით **„კრიტიკული შენიშვნები – „ჯაყოს ხიზნები“ – რომანი მიხეილ ჯავახიშვილის“**.

კრიტიკოსი მკითხველს აცნობს ნაწარმოების მოკლე შინაარსს, შემდეგ დეტალურად აანალიზებს მას და გამოაქვს დასკვნა, რომ რომანს მხატვრული დამაჯერებლობა აკლია.

„თეიმურაზი არა ცოცხალი პირი, არამედ მანეკენია, რომელიც ძაფით ჰყავს მიბმული ბ. ჯავახიშვილს, ის ამოქმედებს საბრალო თეიმურაზს არა ისე, როგორც მან უნდა იმოქმედოს, არამედ ისე, როგორც სურს მის ტირანს, ბ. ჯავახიშვილს...“

ჩვენ არ ვიცით, რა განზრახვა ჰქონდა ავტორს, როდესაც ის გვიხატავდა თეიმურაზს. თუ თეიმურაზი გამოყვანილია როგორც ტიპი ქართული ინტელიგენციისა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს სიყალბე და ცილისწამებაა. ის არ არის მხატვრული ტიპი და მისი რომანში გამოყვანით ბ. ჯავახიშვილმა დაუშვა სასტიკი შეცდომა“, – მკაცრად დაასკვნის კრიტიკოსი.

რაც შეეხება, მეორე მთავარ პერსონაჟს, მარგოს, „ის ცილისწამებაა ქართველ ქალებზე. ჯავახიშვილი განგებ ამცირებს მას. შეუძლებელია, ქართველ ქალს ჩაედინა ისეთი სამარცხვინო საქციელი, რომელიც ჩაიდინა მარგომ“...

ამასთან, ვლადიმერ ბაქრაძე აღფრთოვანებულია ჯაყოს სახით:

„თუ თეიმურაზი და მარგო არ არიან ცოცხალი პირები, არამედ მანეკენები, რომლებიც მოძრაობენ იმის მიხედვით, საითკენ გასწევს ძაფს ავტორი, ჯაყო ცოცხალი პირია, მთლიანი მხატვრული ტიპი, რომელიც შევა არა მარტო ქართულ ლიტერატურაში, არამედ საერთაშორისო ლიტერატურულ ტიპთა გალერეაში... ის მხატვრული სიმბოლოა ეპოქის; ასე ვთქვათ, მხატვრული კვინტენსაციაა ბოლშევიზმისა, იმის, რაც მუდმივად უკვდავია ბოლშევიზმში, რაც შეადგენს მის მთავარ დამახასიათებელ თვისებას, მის ბუნებას.“

...წარმოიდგინეთ, რომ მომავალში, როდესაც ბოლშევიზმი გაქრება და დავიწყებას მიეცემა, არ დარჩა ისტორიკოსს არავითარი ისტორიული და ლიტერატურული მასალა ბოლშევიზმის შესასწავლად, გარდა ჯავახიშვილის რომანისა... მომავლის ისტორიკოსისათვის საკმარისი იქნება ერთი ჯაყოს გაცნობა, რომ გაიცნოს მთელი ეპოქა ბოლშევიკური ტირანიისა: მისი ფსიქოლოგია, ზნე-ჩვეულება, მორალი, მისი კულტურა, ფილოსოფია, ხელოვნება და სხვ...“

კრიტიკოსის თქმით, ჯავახიშვილმა ჩამოიყვანა ბოლშევიზმი რევოლუციონერული პიედესტალიდან... ჩამოხსნა მას რევოლუციონერის მანტია, ახადა წითელი ნიღაბი, ჩამორეცხა წითელი საღებავი და გამოშვლებული დააყენა სამარცხვინო ბოდთან და ყველა გამვლელს დაანახა მისი ნამდვილი სახე. სწორედ ამას მიიჩნევს კრიტიკოსი რომანისტის მთავარ დამსახურებად.

ვლადიმერ ბაქრაძის მიერ „ჯაყოს ხიზნების“ ამ კრიტიკულ განხილვას „კავკასიონის“ მომდევნო ნომრებში დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

იმავე წლის მესამე ნომერში, თამარ ვარდანაძის ფსევდონიმით, დაიბეჭდა ვიქტორ ნოზაძის „თათქარიძის მოდგმა. თეიმურაზ ხევისთავი („ჯაყოს ხიზნები“-ს გამო)“.

კრიტიკოსი ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებს“ ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანს?!“-ს ადარებს. მისი თქმით, მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნების“ კითხვისას, შეუძლებელია არ გაგვახსენდეს ილია ჭავჭავაძის ლუარსაბი. ლუარსაბ თათქარიძე არ არსებობდა, მაგრამ იგი ჩვენი ცხოვრებიდან ამოღებული ცოცხალი ტიპი იყო, მთელი თავად-აზნაურობა მისი სახით იყო წარმოდგენილი. ილიამ თავისი გმირის ხასიათის თვითეული ხაზი გაზვიადებამდე აიტანა. ამ მხატვრული ხერხის შემწეობით მოგვცა ტიპი, მხატვრული, შემკრებლობითი ლუარსაბი, რომელშიც ჩვენი თავადაზნაურობის დიდი ნაწილი საკუთარ თავს სცნობდა.

კრიტიკოსი მიიჩნევს, რომ მიხ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებში“ იგივე ხერხია გამოყენებული, რომელიც „კაცია-ადამიანში“, მაგრამ მსგავსება მარტო ამით არ ამოიწურება. თათქარიძის საზოგადოებრივი მოდგამა არ მოსპობილა, იგი განაგრძობდა ცხოვრებას. შეიცვალა პირობები, - შეიცვალა ლუარსაბიც. ბატონყმური ცხოვრების შემდეგმა ხანამ წარმოშვა ახალი ლუარსაბი; შემდეგმა თაობამ კიდევ შემდეგი ლუარსაბი მოგვცა და ბოლოს, ლუარსაბს ვხედავთ „ჯაყოს ხიზნებში“ ეს არის თეიმურაზ ხევისთავი.

ოპონენტი არ ეთანხმება ვლადიმერ ბაქრაძის აზრს, რომ თეიმურაზი არ არის ქართული ინტელიგენციის ტიპი და მრავალი არგუმენტით ცდილობს საპირისპიროს დასაბუთებას; საბოლოოდ კი ასკვნის, რომ თეიმურაზი უსათუოდ წარმომადგენელია ქართული ინტელიგენციის დიდი ნაწილისა. ეს ინტელიგენცია ლუარსაბ თათქარიძის მოდგმას ეკუთვნის, არა წოდებრივად, არამედ ფსიქოლოგიურად. ნახმარია იგივე ხერხი, რაც ლუარსაბ თათქარიძის შექმნის დროს. *„თეიმურაზ ხევისთავი პირადად, ალბათ, არ არსებობს, მაგრამ მასში თავმოყრილია ყველა ის თვისება, რომელიც ჩვენი ინტელიგენციის დიდ ნაწილს ახასიათებს და ეს თვისებები მკაცრად, სასტიკად, მკვეთრად, დაუზოგველ ტკივილებამდე არის გამოკვეთილი“*. სხვა პირობებში თეიმურაზს ასე მკაფიოდ ვერ გავიცნობდით; ის მეტად ნათლად და ცხადად გამოჩნდა სწორედ ბოლშევიკურ რეჟიმში, რომელიც გამოცდაა არა მარტო თეიმურაზებისთვის, არამედ მთელი ერისთვის...

ისწავლის თეიმურაზი ცხოვრებას? – კითხულობს კრიტიკოსი და იქვე პასუხობს, რომ ეს უსათუოდ მოხდება, თუმცა, იგი საქართველოში როლს ვეღარ ითამაშებს. თეიმურაზის თაობა ბუნებრივად მოკვდება. *„მოდის ახალი თაობა: მტკიცე, ნებიანი, საქმიანი, მშრომელი და პრაქტიკულ ცოდნიანი... აზიური ხასიათის მატარებელი და ევროპული განათლების თაობა თეიმურაზთან ერთად ჩაბარდება წარსულს. ეს ახალი თაობა გამოვა ნაწილობრივ ემიგრაციიდან და უმთავრესად, იმ უხემ მუხრუჭიდან, რომელსაც ბოლშევიზმი ჰქვია“* („კავკასიონი“, 1929, №3).

პოლემიკა ამით არ ამოწურულა. აზრთა სხვადასხვაობა, როგორც ჩანს, იმდენად დიდი იყო, რომ გახეთს ასეთი შენიშვნა გამოუქვეყნება: „ვინაიდან ეს საკითხი ინტერესს იწვევს, რედაქცია საშუალებას აძლევდა და აძლევს ყველა თანამშრომელს, თავისი შეხედულება შეუზღუდავად გამოთქვას“, რასაც იქვე, „კავკასიონის“ მეხუთე ნომერში, მოჰყვა ისიდორე მანწკავას სტატია, სათაურით **„ქართველი ინტელიგენცია და გუშინდელი ტრადედია“**.

ისიდორე მანწკავასათვის ორივე წინა კრიტიკოსის აზრი მიუღებელია. მას მიაჩნია, რომ ჯაყო საგარეო ინტერვენციის ნაშიერია:

„ჩვენს ისტორიაში ბევრია მაგალითი, როცა გვებრძოდა მტერი – თითო-ოროლა ქართველი მტრის ბანაკს მოუძღოდა თავის ქვეყნის წინააღმდეგ. როცა უცხო ძალის წინაშე ვმარცხდებოდით, იმ ხალხს, საგარეო უცხო ძალასთან ერთად, სისრულეში მოჰყავდა დამპყრობლის ყველა მიზანი. არაა მართალი, თითქოს ჯაყო მხოლოდ გლეხის წრიდანაა გამოსული. იგი ჩვენი საზოგადოებრიობის ყველა წრეში იყო თითო-ოროლა... ჯაყო მედროვეა, იგი ყოველთვის გამარჯვებულის მხარეზე დგას... მისთვის სულერთია, ვინ გაიმარჯვა, მტერმა თუ მოყვარემ. ჯაყოები ყოველთვის სახელმწიფო მოღალატეები იყვნენ ჩვენში და დღესაც ასეა...“

თუ დღეს ჯაყოს პაჭიჭები და ჭრელი წინდები აცვია, ეს იმიტომ, რომ, უკანასკნელი დალატი მუშათა და გლეხთა სახელით მოხდა... დააკვირდით რა ვეებერთელა განსხვავებაა ქართველ და რუს ჯაყოს შორის. რუსეთში ჯაყო შინაური რეაქციაა... ჩვენში – საგარეო ინტერვენცია. ეს რომანში არ ჩანს, ნამდვილი ამბავი კი ასეთია“.

კრიტიკოსის რწმენით, როდესაც საბჭოთა სახელმწიფო გამომცემლობამ ეს წიგნი ორჯერ გამოსცა, იგი გარკვეული მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა. მას ქართველი ინტელიგენციის წინააღმდეგ ცილისწამებად მიაჩნია მტკიცება, თითქოს ჩვენი ინტელიგენცია თვითონ ამზადებდა იმ ტრაგედიას, რომელიც ჩვენს ხალხს თავს დაატყდა 1921 წელს. იგი არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ თეიმურაზ ხევისთავი თათქარიძის მოდემიდანაა.

ისი დორე მანწკავას აზრით, რუსეთის იმპერიის მიერ ქვეყნის დამოუკიდებლობის გაუქმების შემდეგ ქართული საზოგადოება სამ ნაწილად გაიხლიჩა: 1. რუსეთის ბატონობის ერთგული გამტარებელი; 2. ქართული ნიადაგის შეურიგებელი დამცველი და 3. იმედგაცრუებულნი, რომელთაც მარჯვენა ფეხი შეურიგებელი აქვთ, მარცხენა კი სანახევროდ ან მთლად გადადგმული რუსეთის ერთგულებისკენ... ბოლოს შეურიგებლებმა გაიმარჯვეს, საქართველო აღსდგა და 1921 წელს ისევ დაეცა... ერთი მეტად მკვეთრი, ნიშანდობლივი თვისება ახასიათებს ქართველ ადამიანს. ეს აქტივობაა. აქტივობა მისი ბუნება და შინაგანი სტიქიაა, სულერთია, რომელ დაჯგუფებას არ უნდა მიეკუთვნებოდეს იგი, შეურიგებელს თუ შერიგებულს, იმედგაცრუებულს თუ მოღალატეს.

ამიტომ, ფიქრობს იგი, თეიმურაზ ხევისთავს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ადგილი არ აქვს, ყოველ შემთხვევაში ზოგადი ტიპი არ არის.

შემდეგ ავტორი ვრცლად ჩერდება კიდევ ერთ პერსონაჟზე, მარგოზე და ასკვნის: ადვილი წარმოსადგენია, ზოგიერთმა ქალმა კეთილი ცხოვრებისთვის ბევრი რამ გასცვალოს, მაგრამ საკვირველია, რანაირად შეიყვარა ამ ქალმა ჯაყო – ტყიდან გამოვარდნილი მხეცი...

სტატიის დასარულს გამოთქმულია ბრალდება მიხეილ ჯავახიშვილის მიმართ: *„ნუთუ საქართველო მხოლოდ ხევისთავებითა და ჯივამვილებითა დასახლებული. რასაკვირველია, რომ არა... რატომ მარგოს არ შეეძლო სხვაგან მოენახა თავისი ტოლი და სადარი. არა, ჯავახიშვილი წინასწარგანზრახული გეგმით მუშაობს. გარკვეული მიზანი აქვს... და გზადაგზა არ ინდობს არავის: ქართველი ინტელიგენტიდან ქართველი ქალით გათავებული“.*

რამდენიმე წლის შემდეგ ემიგრანტული პრესა კიდევ ერთხელ დაუბრუნდა „ჯაყოს ხიზნებს“. გაზეთ „ბძოლის ხმა“ 1937 წლის №70-ში გამოქვეყნებულ „ლეისპირელი“-ს სტატიაში „წერილები ლიტერატურაზე. სამხატვრო პოლიტიკა“, სხვა ავტორებისა და ნაწარმოებების განხილვასთან ერთად, ვკითხულობთ:

„ჯაყოს ხიზნებზე“ ბევრი ითქვა. ბევრი შემდეგშიც ითქმება. ის განსაკუთრებულ ადგილს იჭერს ბოლშევიკური ხანის მწერლობაში. ბოლშევიკებმა თეიმურაზის სცენაზე გამოყვანით ბუკსა და ნაღარას დაჰკრეს, მთელი ქართველი ინტელიგენცია პარაზიტებად დასახეს და ცილი დასწამეს. ჯავახიშვილის ასეთი უტაქტობა ზოგიერთს მისგან შეგნებულად ჩადენილ საქციელად მიაჩნია, რომ ამით ძვალი გადაედო ბოლშევიკებისათვის და შესძლებოდა მეორე უფრო ძლიერი ტიპის – ჯაყოს დახატვა. არ გამოვუდგებით იმის ძიებას, თუ რამდენათ სწორია ასეთი მოსაზრება. ჯაყო კი, უსათუოდ, მთელი მხატვრული მოცულობით, ბუნებით, მოქმედებით, ხასიათით, სრული განსახიერებაა ბოლშევიკური რაობის... ჯაყოსთვის, ისე, როგორც ბოლშევიკებისთვის, არ არსებობს არც წარსული, არც ისტორია. ჯაყოს მთელი ამორალური ამბები, ეს იგივე საბჭოთა ვითარების რგოლია, მისი სინამდვილის ამსახველია. ჯაყოები უფლობენ, ბრიყვები განაგებენ, ბრძენთა და ჭკვიანთა პირზე კლიტე აქვთ დადებული“ („ბძოლის ხმა“, 1937, №70).

ქართული ემიგრანტული პრესის ფურცლებზე დაბეჭდილი, ზემოთ განხილული და სხვა არაერთი კრიტიკული წერილის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართველი ემიგრანტები, მიუხედავად იმისა, რომ მათ მიერ ემიგრაციაში დაარსებული ჟურნალ-გაზეთები პოლიტიკური

ხასიათისაა და ძირითადად, ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის ორგანოს წარმოადგენს, დიდ ყურადღებას უთმობენ ქართული ლიტერატურას. მე-19 საუკუნის მწერლობის განხილვასთან ერთად, რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ფლაგმანად და, შესაბამისად, საქართველოს დამოუკიდებლობის მედროშედ მიაჩნიათ, გამორჩეულ ინტერესს ავლენენ მიმდინარე სალიტერატურო პროცესისადმი. მათი განსაკუთრებული სიმკაცრე თანამედროვე მწერალთა მიმართ კი გამოწვეულია იმით, რომ ქართულმა ლიტერატურამ სწორედ ეს ფუნქცია დაკარგა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ამირეჯიბი, შ. (1926). „კრიტიკული განხილვა „ჯაყოს ხიზნებისა“, გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, 10.
ბაქრაძე, ა. (1999). „კარდუ“. თბილისი: „ლომისი“.
- ბაქრაძე, ვ. (1929). „ლიტერატურული და თეატრალური კრიტიკა ქართულ კომუნისტურ პრესაში“, ჟ. „კავკასიონის“, 1.
- ბაქრაძე, ვ. (1929). „ჯაყოს ხიზნები – რომანი მიხეილ ჯავახიშვილისა“, ჟ. „კავკასიონის“, 2
- ვარდანძე, თ. (1929). „თათქარძის მოდგმა. თეიმურაზ ხევისთავი („ჯაყოს ხიზნები“-ს გამო)“, ჟ. „კავკასიონის“, 3.
- ლეის-პირელი (1937). „წერილები ლიტერატურაზე. სამხატვრო პოლიტიკა“, გაზ. „ბრძოლის ხმა“, 68.
- ლეის-პირელი (1937). „წერილები ლიტერატურაზე. სამხატვრო პოლიტიკა“, გაზ. „ბრძოლის ხმა“, 70.
- ლეის-პირელი (1937). „წერილები ლიტერატურაზე. სამხატვრო პოლიტიკა“, გაზ. „ბრძოლის ხმა“, 71.
- მანწკავა, ი. (1929). „ქართული ლიტერატურა“, ჟ. „კავკასიონის“, 1-2.
- მანწკავა, ი. (1929). „ქართველი ინტელიგენცია და გუშინდელი ტრადედია“, ჟ. „კავკასიონის“, 5.
- ნაკაშიძე, გ. (1928). „ფიქრები თანამედროვე ქართულ მხატვრულ მწერლობაზე“, გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“.
- რობაქიძე, გრ. (1996). „ჩემთვის სიმართლე ყველაფერია“, კრებულში: „სულის დაშლა“, თბილისი: შპს „ჯეკ-სერვისი“.
- შარაძე, გ. (2001). „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“, ტ. 2, თბილისი: „მეცნიერება“.
- შარაძე, გ. (2003). „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“, ტ. 3 თბილისი: „მეცნიერება“.
- შარაძე, გ. (2005). „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“, ტ. 6, თბილისი: „მეცნიერება“.
- ჩიტაური, ნ. (2005). „დაკვირვებანი XX საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობის თავისებურებებზე“. „ლიტერატურული მიეზანი“, XXVIII.
- წულუკიძე, მ. (1929). „ესკიზები თანამედროვე ქართული ლიტერატურიდან – გალაკტიონ ტაბიძე“, ჟ. „კავკასიონის“, 4.

References:

- Amirejibi, Sh. (1926). Krit'ikuli gankhilva „jaq'os khiznebisა“ [Critical review of „Jaqo's Dispossessed“]. Newsp. „Independent Georgia“, 10.
- Bakradze, A. (1999). Kardu [Kardu]. Tbilisi: „Lomisi“.
- Bakradze, V. (1929). Lit'erat'uruli da teat'raluri k'rit'ik'a kartul k'omunist'ur p'resashi. [“Literary and theatrical criticism in the Georgian communist press”]. „Kavkasioni“, 1.
- Bakradze, V. (1929). Jaq'os khiznebi – romani Mikheil Javakhishvilisa. [„Jaqo's Dispossessed“ – a novel by Mikheil Javakhishvili]. P'aris: „Kavkasioni“, 2.
- Chit'auri, N. (2005). Dakvirvebani XX sauk'unis kartuli emigrant'uli mts'erlobis taviseburebeze. Lit'erat'uruli dziebani. [Observations on the Peculiarities of 20th Century Georgian Emigrant Writing]. Tbilisi: lit'erat'uruli dziebani, XXVIII.
- Leis-p'ireli (1937). Ts'erilebi lit'erat'uraze. Samkhat'vro p'olit'ika. [Articles about literature. Artist politics]. Newsp. „brdzolis khma“, 68.
- Leis-p'ireli (1937). Ts'erilebi lit'erat'uraze. Samkhat'vro p'olit'ika. [Articles about literature. Artist politics]. Newsp. „brdzolis khma“, 70.
- Leis-p'ireli (1937). Ts'erilebi lit'erat'uraze. Samkhat'vro p'olit'ika. [Articles about literature. Artist politics]. Newsp. „brdzolis khma“, 71.
- Mants'k'ava, I. (1929). Kartuli lit'erat'ura. [Georgian Literature]. Newsp. „Kavkasioni“.

- Mants'k'ava, I. (1929). Kartveli int'eligentsia da gushindeli t'raghedia. [The Georgian educated elite and yesterday's tragedy]. Newsp. „Kavkasioni“.
- Robakidze, Gr. (1996). Chemtvis simartle q'velaperia. K'rebulshi: „sulis dashla“. [To me, truth is everything. In „Soul destruction“]. Tbilisi: shp's „jek'-servisi.
- Sharadze, G. (2001). Kartuli emigrant'uli zhurnalst'ik'is ist'oria. T'omi 1. [History of Georgian Immigrant Journalism. Volume 1]. Tbilisi: „metsniereba“.
- Sharadze, G. (2003). Kartuli emigrant'uli zhurnalst'ik'is ist'oria. T'omi 3. [History of Georgian Immigrant Journalism. Volume 3]. Tbilisi: „metsniereba“.
- Sharadze, G. (2005). Kartuli emigrant'uli zhurnalst'ik'is ist'oria. T'omi 6. [History of Georgian Immigrant Journalism. Volume 6]. Tbilisi: „metsniereba“.
- Vardanidze, T. (1929). Tatkaridzis modgma. Teimuraz khevistavi. („Jaq'os khiznebis“ gamo). [The Tatkaridze family. Teimuraz Khevistavi (Because of [„Jaq'o's Dispossessed“]). „Kavkasioni“, 3.